ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.29221247**
თარიღი:**04/05/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 2 მაისის N 28-282212222 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ გაფორმდეს შესაბამისი ურთიერთშეთანხმება თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მზეკაბანი-2007"-ს (ს/კ 231948603) შორის, 2017 წლის 05 სექტემბერს ,,მხარეებს" შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4 თვის (**სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი)** საიჯარო თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დარჩენილ ვადაზე (56 თვე და 5 დღე) გადანაწილების შესახებ.

მუხლი 2. 1 (ერთი) თვეში გადასახდელი საიჯარო თანხა განისაზღვრება 1079.625 ლარით, ხოლო 4 (ოთხი) თვის საიჯარო თანხა შეადგენს **4318.5** ლარს. აღნიშნული თანხა გადანაწილდეს დანარჩენ გადასახდელ ვადაზე (56 თვე და 5 დღე), თვეში 76.9 ლარის დამატებით. 2023 წლის იანვრიდან საიჯარო ქირის 1 თვის გადასახადი განისაზღვროს **1156.52** ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM